საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/142

ქ. ბათუმი 11 სექტემბერი, 2019 წ.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2019 წლის 11 სექტემბრის MES 4 19 01173931 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ტურიზმის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან ერთი წარმომადგენლის ასარჩევად.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ტურიზმის ფაკულტეტზე ჩატარდეს 2019 წლის 25 სექტემბერს (არჩევნებზე კენჭისყრა დაიწყება 10 საათზე და დამთავრდება 17 საათზე).
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ №32/35, ოთახი N13) 2019 წლის 12 სექტემბრიდან – 2019 წლის 23 სექტემრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა ,10 საათიდან 16 საათამდე.
4. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან აკადემიური თანამდებობის მითითებით.
5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
6. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანს დაევალოს არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახის გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანს (რ. ბერიძეს), საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და განთავსდეს ფაკულტეტის საინფორმაციო დაფასა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში -კონკურსები).
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**